www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 27 აგვისტო, 2013 წელი. | №3352 (159) | ფასი 50 თეთრი

ადიგენში მეჩეთიდან მინარეთი მოხსნეს

მარი ახსიაშვილი

ქართველ მუსლიმანთა კავშირის ინფორმაციით, ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში, მეჩეთიდან მინარეთი ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოხსნა. ტარიელ ნაკაიძის განცხადებით, პოლიციამ ადგილობრივი მოსახლეობა მეჩეთთან არ მიუშვა. მისივე თქმით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა შექმნილი.

„სხვადასხვა სოფლებიდან დაიძრა ხალხი იმის გასარკვევად, რატომ მოხდა მინარეთის დემონტაჟი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პუტინი აფხაზეთში ჩავიდა

ოკუპირებულმა აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარების ხუთი წლისთავი აღნიშნეს. ამის გამო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა. რუსული მედიის ცნობით, პუტინი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს ბიჭვინთაში შეხვდა. კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციით, „მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს“.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

შსს: პოლიცია მოქმედებს კანონის ფარგლებში

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს, პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებებისგან თავი შეიკავოს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისის მოსახლეობას მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის და ამასთანავე ბოდიშს უხდის შსს-ს მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს შექმნილი უხერხულობისთვის. ასევე გვსურს, გაცნობოთ, რომ რამდენიმედღიანი პრევენციული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია ათეულობით უკანონო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებებისგან. პოლიცია მოტივირებულია, 24-საათიან რეჟიმში დაიცვას მოქალაქეების უსაფრთხოება, მოქმედებს კანონის ფარგლებში და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს,“ - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) თავმჯდომარე კახა კოჟორიძე კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებს, თბილისის ქუჩებში რეიდების ჩატარების მიზეზი განმარტოს. კახა კოჟორიძის განცხადებით, არსებობს „პოლიციის შესახებ კანონი“, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული შემთხვევები, თუ როდის შეუძლია პოლიციას რეიდის ჩატარება.

„პოლიციის შესახებ კანონში წერია, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით შეიძლება, დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე რეიდები მოეწყოს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სირიაში გარედან ჩარევა გარდაუვალი ხდება

ივა შილაკაძე

დამასკოს მახლობლად ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ეჭვი უკვე აღარ არსებობს. საკითხი სხვანაირად დგას: ვინ არის პასუხისმგებელი ამ თავდასხმაზე? სირიაში დაპირისპირებული მხარეები ქიმიური იარაღის გამოყენებას, ისევე როგორც წინა სავარაუდო შემთხვევებში, ერთმანეთს აბრალებენ და საკუთარ დანაშაულს კატეგორიულად უარყოფენ. საერთაშორისო საზოგადოების აზრიც „ტრადიციულად“ ორად არის გაყოფილი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

„დილა“ ახლოსაა ევროპის ლიგასთან, „დინამოს“ ბედი კი თბილისშივე გადაწყდა

გიგა გურასაშვილი

ევროპის ლიგის განმეორებითი შეხვედრისთვის თბილისის «დინამოს» პრემიერ-ლიგელმა «ტოტენჰემმა» მეორე ტურში «სუონსის» სოლდადოს პენალტის წყალობით 1:0 სძლია და გამარჯვებული ხვდება საქართველოს ჩემპიონს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

სარაევოს კინოფესტივალის გრანპრი

«გრძელი ნათელი დღეები» სამი ჯილდოს ფლობელია

ია ვეკუა

შარშან შემოდგომის მიწურულს საქართველოს ეროვნული კინოცენტრი სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის დელეგაციას მასპინძლობდა. სამუშაო ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და მომავალი თანამშრომლობაც დაიგეგმა. ერთი წლის შემდეგ კი სარაევოდან ერთბაშად სამი ჯილდო ჩამოვიტანეთ:

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია საკრებულოში იმუშავებს

26 აგვისტოს თბილისის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გადაწყდა, რომ 1 სექტემბრიდან მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებას, თბილისის მერიის ნაცვლად, თბილისის საკრებულო გასცემს. ასევე შეიცვლება კომისიის შემადგენლობა და მას ახალი უმრავლესობიდან დანიშნული საკრებულოს წევრი უხელმძღვანელებს.

აღნიშნული კომისია 2007 წლიდან დღემდე მერიაში ფუნქციონირებდა. ამ პერიოდში კომისიამ 8 000-მდე განცხადება დააკმაყოფილა და თითქმის 5 მილიონი კვ.მ მიწის ნაკვეთი დაიკანონა.

მერიაში ამბობენ, რომ 2007 წლიდან ამოქმედებული კანონით, შესაძლებელი გახდა, მრავალი წლის განმავლობაში პირების ფაქტობრივ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მათ საკუთრებად იურიდიულად გაფორმებულიყო. ამით მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, ეს ქონება სრულად გამოეყენებინათ ეკონომიკური საქმიანობისთვის, რაც მანამდე საჯარო რეესტრში გაუფორმებლობის გამო შეუძლებელი იყო.

„საქმიანობის მანძილზე კომისია, მოქალაქეებისთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაიოლების მიზნით, არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი იყო. მათ შორის, 2010 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად სოციალურად დაუცველი მოქალაქეები შესაბამისი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლდნენ, რითიც ამ პერიოდში უკვე 716 მოქალაქემ ისარგებლა - მათ მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში. მოქალაქეთა მომსახურების ხარისხიც სისტემატურად უმჯობესდებოდა. მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მოქალაქეებს შეეძლოთ, კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურებით ესარგებლათ, შედეგად კი მნიშვნელოვნად გაიზარდა დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა. მაგალითად, 2008-2009 წლებში დადებითი გადაწყვეტილება მიიღო განცხადებების 40 პროცენტზე ნაკლებმა, ხოლო 2013 წელს დაკმაყოფილდა განცხადებების 60 პროცენტზე მეტი,“ - ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მერიაში იმედოვნებენ, რომ პროექტი მუშაობას ისევ ეფექტურად გააგრძელებს და კომისიის მიერ დანერგილი სიახლეები უფრო გაუმჯობესდება.

„ვფიქრობთ, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც კომისია მერიაში ფუნქციონირებდა, პროცესი იმდენად კარგად არის აწყობილი, რომ არანაირი ხარვეზები არ უნდა იყოს მოსალოდნელი,“ - ამბობს თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ირაკლი აბესაძე.

თიკა ნიკოლაძე

პატიმრები: გლდანის საპყრობილეში ციხის მაყურებელი არ არსებობს

გლდანის მე-8 საპყრობილის პატიმრებმა სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს ღია წერილით მიმართეს და «ნაციონალური მოძრაობის» წევრ აკაკი მინაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურნენ. წერილში ნათქვამია, რომ ციხეში „მაყურებლები“ არ არიან.

„სახალხოდ შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ გლდანის N8 დაწესებულებაში არანაირი ციხის მაყურებელი არ არსებობს, მით უმეტეს, ზედმეტია ლაპარაკი პატიმრების დაჩაგვრაზე სხვა რომელიმე პატიმრებისგან, ასევე ობშიაკის“ შეგროვებაზე, სასადილოს და სამრეცხაოების მაყურებლებზე“, ეს ყველაფერი სრული აბსურდია. ბატონო უჩა, ვფიქრობთ, თქვენ, როგორც სახალხო დამცველი, ვალდებული ბრძანდებით, ჩვენი უფლებები დაიცვათ და ასევე ჩვენი თხოვნა გაითვალისწინოთ, ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი იმ საბოტაჟს, რომელსაც რიგი ადამიანები ავრცელებენ და ჩვენი - თითოეული პატიმრის მშობლებს და ახლობლებს გულს უხეთქავენ და ცრუ ინფორმაციებით ანერვიულებენ. ბატონო უჩა, აქვე გვინდა, დავამატოთ, რომ გლდანის N8 დაწესებულებაში არ ირღვევა ჩვენი, როგორც პატიმრების უფლებები, არ არის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და სუფევს სრული სიმშვიდე, რაზეც უღრმეს მადლობას ვუხდით გლდანის N8 დაწესებულების დირექტორს, ბატონ ნოდარ ქინქლაძეს და მის ყველა მოადგილეს,“ - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც 80-მდე პატიმარი აწერს ხელს.

ცნობისათვის - უმცირესობის დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე ციხის მართვის სქემა გამოაქვეყნა, სადაც იმ მაყურებელთა ვინაობა იყო გაცხადებული, რომლებიც, «ნაციონალური მოძრაობის» ინფორმაციით, დღეს ციხეს აკონტროლებენ.

გიგი კალანდაძე იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრებისგან ბოდიშს ითხოვს

გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი გიგი კალანდაძე იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრებისგან ბოდიშის საჯაროდ მოხდას ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნით გიგი კალანდაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

კალანდაძის განცხადებით, მისი ბრალდებულობის პერიოდში ეს მინისტრები არასწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

„ჩემი ძირითადი მოთხოვნაა, ალასანიამ და წულუკიანმა საჯაროდ მოიხადონ ბოდიში, რადგან ისინი ყველანაირად ეცადნენ, სასამართლოზე ზეგავლენა მოეხდინათ. ისინი უსაფუძვლო ინფორმაციას ავრცელებდნენ, თითქოს 500 ათასი ლარი მივიტაცე და სამეგრელოს რეგიონში მოწმეებზე ზეწოლას ვახორციელებდი, ეს ტყუილია,“ - აცხადებს გიგი კალანდაძე.

მსს: პოლიცია მოქმედებს კანონის ფარგლებში

პირველი გვერდიდან

პირდაპირ წერია, რომ რეიდის მოწყობის შესაძლებლობა არსებობს. დამნაშავე არის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულს ჩამდენი, სამართალდამრღვევში იგულისხმება პირი, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა აქვს ჩადენილი,“ - აცხადებს კოჟორიძე და დასძენს, რომ ამავე კანონის თანახმად, რეიდების ჩატარებისას პოლიციის მხრიდან გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს.

„რა არის ეს გონივრული ეჭვი, პოლიციის შესახებ კანონში განმარტებული არ არის, თუმცა ეს განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. გონივრული ეჭვი შეიძლება, ისეთი გარემოებების ერთობლიობა იყოს, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს ანუ უნდა არსებობდეს რაღაც გარემოებები, რომელთა შესახებაც პოლიციამ იცის და რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა ან უნდა ჩაიდინოს დანაშაული,“ - განმარტავს საია-ს თავმჯდომარე. მისივე თქმით, კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციას ჰქონდა თუ არა ასეთი გონივრული ეჭვი, უცნობია.

„პოლიციას ამის შესახებ არ განუმარტავს. საინტერესო იქნება ამის განმარტება, რადგან რეიდებს ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონია და ამის შესახებ ბევრი ადამიანი ლაპარაკობს. კარგი იქნება, თუ პოლიცია განმარტავს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო რეიდის ჩატარების საფუძველი, რა გონივრული ეჭვი ჰქონდა პოლიციას. ასევე კარგი იქნება, თუ ამას შს სამინისტრო განმარტავს,“ - აღნიშნა კახა კოჟორიძემ.

ცნობისათვის - თბილისში პოლიციის თანამშრომლები რამდენიმე დღის განმავლობაში მოქალაქეებს მასობრივად აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ და ამოწმებდნენ. ასევე მოქალაქეების პირად მონაცემებს იწერდნენ და სურათებს უღებდნენ.

სუიციდი საპატიმროში

სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი იპოვეს. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მსჯავრდებულმა გელა ჯაყელმა თავი მოიკლა.

„პირველადი ინფორმაციით, მსჯავრდებული გ.ჯ., რომელმაც წარსულში არაერთხელ მიმართა თვითდაზიანებას, საკანში მექანიკური ასფიქსიით გარდაცვლილი იპოვეს. 2013 წლის იანვრის შემდეგ, მსჯავრდებული გ.ჯ. თვითდაზიანებების გამო ხუთჯერ გადაიყვანეს სამოქალაქო საავადმყოფოებში, სადაც მას დროული და ადეკვატური დახმარება აღმოუჩინეს. მსჯავრდებულს არაერთხელ გაეწია ფსიქიატრის კონსულტაცია, რის საფუძველზეც სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა. მასთან მუშაობდა ფსიქოლოგიც,“ - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში და აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული სასჯელს 2009 წლიდან იხდიდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

გარდაცვლილი საკუთარ ოჯახში, ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში გუშინ დილით მიასვენეს. მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ გელა ჯაყელი მოკლეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვლილის დედამ ზოია ჯაყელმა განუცხადა, მის შვილს ფსიქოლოგიური პრობლემები არასდროს ჰქონია.

„პარასკევს ციხეში ვიყავი ჩემი შვილის სანახავად, ციხის ადმინისტრაცია ჩემთვის თვალის ასახვევად კარგად ექცეოდა, თუმცა გელამ მითხრა, რომ მის მოკვლას აპირებდა ვინმე ზურა, გვარი არ ვიცი, მითხრა, რომ ის არის ციხის უფროსის მოადგილის დროებითი შემსრულებელი,“ - განაცხადა ზოია ჯაყელმა. გარდაცვლილის დედის ინფორმაციით, ციხეში მისმა შვილმა მართლაც მიიყენა თვითდაზიანება, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ გადასხმის გაკეთება მოითხოვა, ციხის ადმინისტრაციაში კი უარი უთხრეს.

„გარდაცვლილს საფეთქელზე ზონარი აქვს შემოჭერილი და თავზე აქვს დაზიანებები. ამას თვითონ ვერ მიიყენებდა, ჩემი შვილი მოკლულია,“ - აცხადებს ზოია ჯაყელი.

ავთანდილ ადუაშვილის ოჯახის წევრები ხელს სოსო პავლიაშვილს ადებენ

თიკა ნიკოლაძე

მეორე დღეა, თბილისის საქალაქო სასამართლო ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განიხილავს. ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მოკლულის დედა ლარისა ეფრემიძე კი მკვლელობის შემკვეთად რუსეთში მცხოვრებ ქართველ მომღერალს სოსო პავლიაშვილს ასახელებს.

ავთანდილ ადუაშვილის დედამ პავლიაშვილის ბრალეულობაზე 25 აგვისტოს, პროცესის გადადების შემდეგ, ჟურნალისტებთან ისაუბრა.

მან ჟურნალისტებს თავისი ვაჟისა და სოსო პავლიაშვილის ერთად გადაღებული ბავშვობის დროინდელი ფოტოებიც აჩვენა. **„ეს არის ავთოსა და სოსოს სურათი, როცა იტალიურ ეზოში ერთად იზრდებოდნენ. გაზრდილმა კი შვილი მომიკლა,“** - განაცხადა გარდაცვლილის დედამ.

26 აგვისტოს, პროცესის დაწყებამდე, გარდაცვლილის დედამ განაცხადა, რომ თუ სოსო პავლიაშვილი ამ საქმესთან კავშირში არ არის, მაშინ საინტერესოა, რატომ არ ჩივის.

„რატომ არ დარეკა სოსომ. ხელი დავადე და რატომ არ რეკავს?! თუ უდანაშაულოა, მაშინ მიჩივლოს,“ - განაცხადა ეფრემიძემ.

ლარისა ეფრემიძე სასამართლომ 26 აგვისტოს მოწმის სახით დაკითხა. ეფრემიძემ პროცესზე მკვლელობის მოტივის შესახებ ისაუბრა და მკვლელობის ორგანიზატორობაში პავლიაშვილი ღიად დაადანაშაულა.

მისი თქმით, სოსო პავლიაშვილს მკვლელობის მოტივი ჰქონდა და მიზეზი, სავარაუდოდ, ფული იყო.

როგორც მოკლულის დედა აღნიშნავს, მას ამის თქმის საფუძველს ისიც აძლევს, რომ ავთანდილ ადუაშვილი სოსო პავლიაშვილთან შესახვედრად 24 ნოემბერს ერევანში უნდა გამგზავრებულიყო. ამ შეხვედრის ჩაშლის მიზნით კი ის ერთი დღით ადრე - 23 ნოემბერს მოკლეს.

მოკლულის დედის დაკითხვისას ერთ-ერთ ბრალდებულს ვახტანგ ჩხაპელიას, რომელიც სოსო პავლიაშვილის სიძეა, გულის შეტევა დაემართა, რის გამოც პროცესი დროებით შეჩერდა, თუმცა სასწრაფო დახმარების ჩარევის შემდეგ პროცესი ისევ განახლდა. მოგვიანებით, სამედიცინო დახმარება გონების დაკარგვის გამო მეორე ბრალდებულს კობა ყურუასაც დასჭირდა.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულ ჩხაპელიას მოკლულის დედამ რამდენჯერმე მიმართა და შეახსენა რომ **„როდესაც შვილი მოკლული მიუსვენეს სახლში, ის, როგორც ჭირისუფალი, მასთან იმყოფებოდა, სინამდვილეში კი ერთ-ერთი მკვლელი აღმოჩნდა.“**

სოსო პავლიაშვილს მკვლელობის დამკვეთად მიიჩნევს ავთანდილ ადუაშვილის ძმაც მევლუდ ადუაშვილი. მისი თქმით, ის ამაში მას შემდეგ დარწმუნდა, რაც პავლიაშვილმა თავისი ოჯახის წევრები საქართველოდან წაიყვანა.

„მაკა პავლიაშვილი უცებ რომ გააქრეს, ეს მაეჭვებს. მაკამ ყველაფერი იცის. პირი რომ დააღოს, ყველაფერს იტყვის და იმიტომ წაიყვანა. მივაღწევ იმას, რომ სოსოს დასთან ერთად ჩამოვიყვან დაკითხვაზე,“ - განაცხადა მოკლულის ძმამ.

ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეში ბრალდებული სამი პირი - ვახტანგ ჩხაპელია, კობა ყურუა და გელა უბილავა კი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ.

ერთ-ერთი ბრალდებულის ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატ ლევან ჯავახაძის განცხადებით, ყველა ბრალდებულმა პროკურატურას ჩვენებები ზეწოლის შედეგად მისცა და ბრალდებულები საქმის არსებითი განხილვისას ჩვენებებს შეცვლიან.

პროკურორ ლაშა ცქვიტარიას განცხადებით კი, ბრალდებულის ადვოკატთა განცხადება არარეალურია.

ბრალდებულის ადვოკატებმა პროკურორი გრიგოლ ბიბილაშვილი ზეწოლაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ ვახტანგ ჩხაპელიამ და სხვა ბრალდებულებმა მომღერალ სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ ჩვენება ბიბილაშვილის ზეწოლის ქვეშ მისცეს.

ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის ოჯახი პროკურატურას ძიების შეგნებულად გაწელვაში ადანაშაულებს. მოკლულის დედა შიშობს, რომ საპყრობილის დატოვების შემდეგ ბრალდებულები გაიქცევიან ან მათ მოკლავენ და ეს მის შვილებს და შვილიშვილებს დაბრალდებათ.

25-26 აგვისტოს სასამართლო პროცესებზე დაცვის მხარემ მოსამართლის აცილება მოითხოვა, რადგან მოსამართლემ ბრალდებულებს დაუსვა კითხვა, იყვნენ თუ არა ნასამართლეები. ადვოკატის მტკიცებით, ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულის წარსული ნასამართლეობა ვერდიქტამდე არ უნდა ეცნობოთ.

ბრალდების მხარის თქმით კი, მოსამართლის აცილების საფუძველი არ არსებობდა, რადგან კობა ყურუა წარსულში მკვლელობისთვის არის ნასამართლევი, რაც მაკვალიფიცირებელი გარემოებაა და ნაფიცი მსაჯულებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია. მოსამართლემ დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

პროკურორ ნინო აღლემაშვილის განცხადებით, ბრალდების მხარეს საკმარისი მტკიცებულებები აქვს იმისთვის, რომ ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატი ლევან ჯავახაძე მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ბრალდებულთა დანაშაულს ვერ ადასტურებს. მისი ინფორმაციით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ამ საქმესთან სოსო პავლიაშვილის კავშირი არ დასტურდება.

43 წლის ბიზნესმენი ავთანდილ ადუაშვილი 2012 წლის 23 ნოემბერს საკუთარ მანქანაში მოკლული იპოვეს. მას სამი ჭრილობა აღენიშნებოდა, მათ შორის ერთ-ერთი საკონტროლო იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე 2012 წლის 10 დეკემბერს გახსნა.

მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ ადუაშვილის ოჯახის ნათესავი, რომელმაც თავისი სახელის გახმაურებაზე უარი განაცხადა, «გურია ნიუსს“ დაუკავშირდა და სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა. ნათესავმა ოთხი ეჭვმიტანილის სახელი დაასახელა, რომელთა თქმითაც მკვლელობის დამკვეთი ვახტანგ ჩხაპელიაა. მკვლელობის სანაცვლოდ დაპირებული თანხა, თითქოსდა, 15 ათასი დოლარი იყო. ამასთან, ნათესავმა საკუთარი მოსაზრებებიც გამოთქვა. მისი თქმით, მკვლელობის უკან თავად სოსო პავლიაშვილი დგას, რომელსაც მოკლულთან სომხეთსა და უკრაინაში საერთო ბიზნესი ჰქონდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერევანში მათი ბიზნესი ბენზინისა და ცემენტს ეხებოდა, ხოლო ხარკოვში - ხორცის წარმოებას. ბუნებრივია, ოჯახი მიიჩნევს, რომ ჩხაპელია, უბრალოდ, მკვლელობას საკუთარ თავზე იღებს, რადგან პირადად მას ადუაშვილის ლიკვიდაციის არანაირი მოტივი არ გააჩნდა და მსხვერპლთან არც რაიმე კავშირი ჰქონია,“ - აცხადებდა გარდაცვლილის ნათესავი.

რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერლის სოსო პავლიაშვილის თქმით კი, ინფორმაცია, რომ ის თითქოს ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეში ფიგურირებს, ჟურნალისტების გავრცელებულია, რის გამოც მათ პასუხი მოეთხოვებათ.

„რა სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო ჩემ წინააღმდეგ? ჯერ ერთი, ჩემი მეგობარია მკვდარი, მეორეც, ვიღაცას რაღაც საშინელება მოუვიდა თავში, ასე არ ხდება, ხომ? ეს ამბავი ჟურნალისტებმა გაავრცელეს, იმ ჟურნალიტებთან ხალხი მივა და იურიდიულად მოსთხოვს პასუხს. ჩემი ავთოს ოჯახს როგორც ვედექი გვერდში, ისე ვუდგავარ დღემდე. ის კაცი ჩემი ახლობელი იყო, ჩემი სიძე ზის ციხეში, რომელიც ამბობს, რომ ეს მას არ გაუკეთებია. ეს ხომ უნდა გაირკვეს? მე ორ ცეცხლს შუა ვდგავარ. ჩემზე ცუდად არავინ არის. ვიღაცები არსებობენ, ვისაც უნდათ, მე სისხლი გამიშრონ. 10 წელია, ხან კრემლის აგენტს მეძახიან, ხან მაბრალებენ, რომ ხელისუფლების გადატრიალება მინდოდა, ხან სომეხი ვარ, ხან ერის მოღალატე, ხან კი - თითქოს ნარკობიზნესში. ასე აღარ შეიძლება,“ - აცხადებდა 2013 წლის 30 მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან საუბარში პავლიაშვილი.

საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის თქმით, ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმის გამო მომღერალ სოსო პავლიაშვილის მიმართ არანაირი დევნა არ დაწყებულა.

„სოსო პავლიაშვილის მიმართ არანაირი დევნა არ არის დაწყებული. ის არ გახლავთ ბრალდებული. გამოძიება მიმდინარეობს უშუალოდ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის შესახებ და რამდენიმე პირი პასუხისგებაშიც არის მიცემული. საქმე აღძრულია, მაგრამ - არა პავლიაშვილის მიმართ. სოსო პავლიაშვილის შესახებ მინიშნება ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში გამოიკვეთა, თუმცა ეს ქართველი მომღერლის წინააღმდეგ დევნის დასაწყებად საკმარისი მტკიცებულება არ არის,“ - აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი მიიჩნევს, რომ საქმეში სოსო პავლიაშვილის შესახებ კითხვები არსებობს.

„ეს არის მკვლელობის საქმე ნაძალადევიდან, რომელსაც მე საკმაოდ კარგად ვიცნობ და მივიჩნევს, რომ სოსო პავლიაშვილთან არსებობს კითხვები. ადუაშვილის საქმე წასულია სასამართლოში, მაგრამ იმ ნაწილზე, რომელიც დაკავშირებულია სოსო პავლიაშვილთან, ჯერ კიდევ მიმდინარეობს ძიება. თუკი მოცემული პირი მიიჩნევს, რომ მასზე ზეწოლა მიმდინარეობს, მე, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრი, მზად ვარ, მას პირადად შევხვდე,“ - განაცხადა წულუკიანმა 2013 წლის 8 აპრილს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68,**
საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ადიგენში მეჩეთიდან მინარეთი მოხსნეს

პირველი გვერდიდან

ვერც გამგებელი და სხვაც ვერავინ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ამას რამე საკანონმდებლო ჩარჩოში მოიყვანს და მინარეთს აღვადგენთ. ეს მინარეთი ძალიან სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამას თავიდანვე სჭირდება მიხედვა," - აღნიშნავს ნაკაიძე.

ადიგენის რაიონის დეპუტატი ზურაბ ჩილინგარაშვილი კი «ტაბულასთან» საუბარში აცხადებს, რომ დემონტაჟი არა გამგეობამ, არამედ საბაჟომ განახორციელა.

„ადიგენის საკრებულოს არ მიუღია მინარეთის დემონტაჟის გადაწყვეტილება. ადიგენის საკრებულომ შესულ წერილზე უპასუხა, რომ მინარეთი დადგმულია ჩვენი ნებართვის გარეშე, მაგრამ მინარეთის დემონტაჟი საბაჟომ მოახდინა. როგორც საბაჟოს თანამშრომლები ამბობენ, მინარეთი თურქეთიდან, ბათუმის გავლით არის შემოტანილი საბაჟოზე, იქ კოდები იყო შეცვლილი და სწორად არ არის განბაჟებული. აქედან გამომდინარე, საბაჟომ ამ მინარეთის დემონტაჟი მოახდინა," - განაცხადა დეპუტატმა.

გამგებელ სიმონ პარუნაშვილსაც იგივე ინფორმაცია აქვს. მისი თქმით, მართალია, მათ დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ, მაგრამ დემონტაჟი საბაჟომ განახორციელა.

„მინარეთი უკანონოდ იყო მიდგმული. ჩვენ დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება გამოვიტანეთ, დემონტაჟის ბრძანებაც გამოვეცით და დროც მივეცით, მაგრამ დღეს დემონტაჟი საბაჟომ განახორციელა, რადგან საბაჟოზე შემოსული იყო დარღვევით, მიმდინარეობს ამის პროცედურები. დემონტაჟი საბაჟომ მოახდინა, წესრიგი პოლიციამ უზრუნველყო, შემდეგ კი საბაჟომ წაიღო ექსპერტიზისთვის," - აცხადებს გამგებელი.

მინარეთის დემონტაჟის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო»ტაბულამ» გამგებელს ჰკითხა - მის გამგებლობაში შემავალ სოფლებში ყველას აქვს თუ არა ნებართვა, ვინც საკუთარ ეზოში მცირე ნაგებობას აშენებს და ამ პროცესებს ისეთივე მონდომებით აკონტროლებს თუ არა, როგორც მინარეთის შემთხვევაში იყო.

„შეიძლება რაღაც ვერ გავიგო და მაგაზე რეაგირებას ვერ გავაკეთებ, მაგრამ თუ გავიგეთ, რომ უკანონო მშენებლობაა, აუცილებლად ვრეაგირებთ. მინარეთის შესახებ ინფორმაცია პოლიციიდან გადმოგვიგზავნეს, ხალხი ჩიოდა, რომ უკანონო მშენებლობაა. ეს ჩვენ კი არ დაგვიწყია, პოლიციამ დაიწყო. საჩივარი შემოვიდა," - ამბობს გამგებელი.

ადგილობრივი გამოცემის „სამხრეთის კარიბჭის" ინფორმაციით, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჭელაში უნებართვოდ დადგმული მინარეთის შესახებ საქმის ადმინისტრაციული წარმოება 1 აგვისტოს დაიწყო. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის გივი ყულჯანიშვილის განცხადებით, მუსლიმანებს გამგეობისთვის მინარეთის შესახებ არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენიათ. ამიტომ, საკრებულომ მინარეთის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო. გარდა ამისა, მინარეთის უკანონოდ დადგმისთვის მუსლიმანებს 200-ლარიანი ჯარიმა დაეკისრათ.

ასევე, „სამხრეთის კარიბჭე" სოფელ ჭელას მცხოვრებლებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ მინარეთის დემონტაჟისას პოლიციამ 11 ადამიანი დააკავა, რომლებიც კორდონის გარღვევას და მინარეთთან მიახლოებას ცდილობდნენ. ადგილობრივების თქმით, სოფელში ნაცემებიც არიან. მძიმე მდგომარეობაშია 70 წლის ოთარ მარკოიძე, რომელსაც კონდახით სცემეს. ადგილობრივების ინფორმაციით, ჭელაში მთელი რეგიონის პოლიცია იყო ჩასული და 6 ადამიანი ძალიერ არის ნაცემი.

ისინი მანქანებში ვერ ჩასხდნენ, ჩადეს, სიკვდილამდე არიან ნაცემი. ხალხის დაშინების მიზნით გაისროლეს კიდეც. დემონტაჟის დროს მინარეთის გარშემო ალყა ჰქონდათ გაკეთებული. ვინც კორდონის გარღვევა სცადა, ყველა სასტიკად ვართ ნაცემი," - განუცხადეს „სამხრეთის კარიბჭეს".

ჭელში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით «ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ» განცხადება გაავრცელა და შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ გასული წლის ნოემბრიდან შეინიშნება რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებისა თუ სხვა სახის ინციდენტების ზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას საკითხის დელიკატურობასა და დიდ მნიშვნელობაზე. სამწუხაროდ, ბოლო თვეების მანძილზე მომხდარი ინციდენტების დროს, მათ შორის სოფლებში წინწყაროსა თუ სამთაწყაროში, სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული საკუთარი მინიმალური ფუნქციებიც კი. სახელმწიფო არ გამოვიდა საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებების დამცველად და არ აღკვეთა ძალადობა. მეტიც, სხვადასხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირებმა გააკეთეს წინდაუხედავი განცხადებები, რითაც ხელი შეუწყვეს მეტად სახიფათო კლიმატის ჩამოყალიბებას," - ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

საქართველოს შემოსავლების სამსახურმა კი მომხდარი ინციდენტის მიზეზი განმარტა და განცხადება გაავრცელა, სადაც დაადასტურა, რომ მინარეთის დემონტაჟი შესაბამისი სამსახურის მითითებით მოხდა და მას შემდეგ, რაც საზღვარზე შემოტანილი ტვირთის ექსპერტიზა ჩატარდება, კონსტრუქციის აღდგენას თავად შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს - „ვინაიდან მინარეთის კონსტრუქციის წონა და სასაქონლო კოდი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს დეკლარირებულ მონაცემებს, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, 26 აგვისტოს, მოხდა მისი დემონტაჟი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მინარეთის კონსტრუქციის დემონტაჟს და შემდგომ მისი აღდგენით სამუშაოებს უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახური.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური თხოვნით მიმართავს ადგილობრივ მოსახლეობას, ყველა დაინტერესებულ პირს, არ დაუშვან აღნიშნული ფაქტის პოლიტიზირება და შესაბამის სამსახურებს მიეცეთ საშუალება სწრაფად და სრულყოფილად ჩაატარონ სასაქონლო ექსპერტიზა," - აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პუტინი აფხაზეთში ჩავიდა

პირველი გვერდიდან

ამის გარდა, რუსეთის პრეზიდენტმა სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვს დამოუკიდებლობის აღიარების ხუთი წლისთავი საგანგებო მიმართვით მიულოცა.

რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარების ხუთი წლისთავზე ბედნიერი ვარ, თქვენ და სამხრეთ ოსეთის მთელ მოსახლეობას ყველაზე თბილი მისალმება შევუთვალო და მშვიდობა, კეთილდღეობა და აყვავება ვუსურვო," - ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის მილოცვაში. მისივე თქმით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულმა რთულმა, თუმცა ერთადერთმა მართებულმა გადაწყვეტილებამ, მოძმე ხალხი სააკაშვილის რეჟიმის აგრესიისგან დაეცვა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინა, ამ ახალგაზრდა რესპუბლიკას საკუთარი ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტის საშუალება მისცა.

მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და დემოკრატიის გამყარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. აღდგენილია სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ობიექტები, იქმნება ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობები," - ნათქვამია პუტინის მიმართვაში. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს სამხრეთ ოსეთის მრავალმხრივად დახმარებას და მხარდაჭერას.

პარალელურად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აფხაზეთის ე.წ სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანიას ინტერვიუ მისცა. ლავროვის თქმით, რუსეთი მიესალმება საქართველოს ახალი ხელისუფლების განცხადებას აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის შესახებ. ლავროვი აღნიშნულ განცხადებას ურთიერთობების დალაგების მცდელობად აფასებს.

„რუსეთი ამას მიესალმება. გვჯერა, რომ თუ უბრალო ადამიანებს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველდღიური საკითხების მოგვარებასა და საკუთარი ინტერესების რეალიზებაში დავეხმარებით, გეოპოლიტიკური დაბრკოლებების გვერდზე გადადება შესაძლებელია," - განაცხადა ლავროვმა. მისი თქმით, თბილისის მცდელობა, რომ აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში იყვნენ, შეუსრულებადია.

„უნდა გამოვიდეთ არსებული მდგომარეობიდან და ვიფიქროთ ხალხზე და არა ვიღაცის გეოპოლიტიკურ ამბიციებზე. მით უმეტეს, თუ ისინი აბსოლუტურად არარეალიზებადია," - აღნიშნა ლავროვმა. მისივე თქმით, რუსეთი იმედოვნებს, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტზე შეთანხმება უახლოეს მომავალში შედგება. ლავროვის განცხადებით, ამ მიმართულებით სწრაფი სვლა არ შეინიშნება, თუმცა ძირითად საკითხებზე მხარეების თანხმობა არსებობს.

„ვიმედოვნებთ, ამ ყველაფრის რეალიზება მოხდება. ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდებით მოლაპარაკების და ძალის გამოუყენებლობის აუცილებლობაზე. არსებობს კონკრეტული წინადადებები, რომლებსაც პატიოსნად განხილვა და არსებული რეალობის გათვალისწინება სჭირდება. რეალობა კი ასეთია - უპირველეს ყოვლისა, უნდა მოილაპარაკონ აფხაზეთმა და საქართველომ, სამხრეთ ოსეთმა და საქართველომ," - ამბობს ლავროვი და დასძენს, რომ დასავლეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში კვლავ „ორმაგი სტანდარტი" აქვს.

„ჩვენი დასავლელი პარტნიორები, სხვა ქვეყნებთან ერთად, კვლავ ძალიან მიკერძოებულები არიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხში," - დასძინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მას გუშინვე გამოეხმაურა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი.

„ცხადია, რომ რუსეთი ჯერაც არ ცვლის პოზიციას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მიმართ. ეს დაპირისპირება არ არის მხოლოდ ევროპის ერთი კუთხის მცირე საკითხი. ეს გამაღიზიანებელი საკითხია რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობებში და მისი მეზობლების მღელვარებას იწვევს, ასევე ძირს უთხრის ევროპის გარშემო შეიარაღების კონტროლს. ამ საკითხზე კომპრომისი უნდა შედგეს, რომელიც საერთაშორისო კანონების შესაბამისი იქნება," - წერს ჯეიმს აპატურაი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით კი, ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება საქართველომ უკვე აიღო და შეასრულა. მისი თქმით, ახლა ჯერი რუსეთზეა. როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, სერგეი ლავროვის განცხადებაში საინტერესოა ერთი შენიშვნა, როდესაც იგი ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებაზე საუბრობს. მინისტრის განცხადებით, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემადგენელი ნაწილია და ეს შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შედგა. სწორედ ამ შეთანხმების შესასრულებლად არის შექმნილი ჟენევის ფორმატი. მინისტრის თქმით, ჟენევის ფორმატში ქართული მხარე ყოველთვის ცდილობს, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება რუსეთმაც აიღოს.

„საქართველოს ცალმხრივად აქვს აღებული ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება - პირველად 2010 წელს, როდესაც ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, ხოლო 2013 წელს ეს განცხადება ახალმა ხელისუფლებამ გაიმეორა. შესაბამისად, საქართველოს მხრიდან უკვე ცალმხრივად შესრულებულია, ახლა კი ჯერი რუსეთზეა, რომელიც ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულებას არ ასრულებს," - აღნიშნა ფანჯიკიძემ და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბიჭვინთაში ვიზიტს პროვოკაცია უწოდა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ქართულმა მხარემ შესაბამისი საპროტესტო ნოტა შვეიცარიის გავლით რუსეთის ფედერაციას უკვე გაუგზავნა.

„რასაკვირველია, ჩვენ ეს დავგმეთ, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის კიდევ ერთხელ ხელყოფა ასეთი გზით," - დასძინა მაია ფანჯიკიძემ.

კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძის შეფასებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის აფხაზეთში ვიზიტი და დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბთან მისი შეხვედრა კიდევ ერთხელ იმის დემონსტრირებაა, რომ უფროსი თავის მამულში ჩავიდა და რომ ეს ტერიტორია რუსეთის კონტროლის ქვეშ არის.

თუმცა ამ ვიზიტს ქვედინებებიც აქვს. აფხაზეთში საზოგადოება და ოპოზიცია გააქტიურდა. ოპოზიცია ამბობს, რომ ანქვაბი კორუმპირებული პრეზიდენტია და რუსეთის მიერ გადარიცხული ფული შეჭამა. პუტინის ვიზიტის განზრახვაა კიდევ ერთხელ იმის დემონსტრირება, რომ ეს ტერიტორია მათია. დღეს ლავროვმაც კონსტრუქციული განცხადებები გააკეთა, რომლებითაც არც მწვადი დაწვა და არც შამფური. ეს მისი მხრიდან დიპლომატიური ჟესტი იყო. რუსეთი აფხაზეთის საკითხში უკანდახევას არ აპირებს და დემონსტრირებას ახდენს, რომ ეს ტერიტორია მისია," - აცხადებს არეშიძე.

„ქართული ოცნების" კვლევა: მარგველაშვილი - 53 პროცენტი, ბაქრაძე - 9 პროცენტი

„ქართული ოცნების" დაკვეთით, საკვლევ-საკონსულტუციო ცენტრმა „ფსიქოპროექტმა" სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც, კითხვაზე - რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს მისცემთ ხმას, გამოკითხულთა 53 პროცენტი ხმას „ქართული ოცნების" კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს ასახელებს. 10 პროცენტი პასუხზე უარს აცხადებს, 9 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ დავით ბაქრაძეს აძლევს ხმას, 7 პროცენტი - „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ ნინო ბურჯანაძეს, ასევე 7 პროცენტი აცხადებს, რომ ხმას არც ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს არ მისცემს. გამოკითხულთა 4 პროცენტი შალვა ნათელაშვილს ასახელებს, 3 პროცენტი - სალომე ზურაბიშვილს, 2 პროცენტი - გიორგი თარგამაძეს, 1 პროცენტი - ნესტან კირთაძეს, კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს გამოკითხულთა 3 პროცენტს.

ასევე, „ქართული ოცნების" დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 40 პროცენტი საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ ნეიტრალურად არის განწყობილი. კითხვაზე, მთლიანობაში როგორ შეაფასებდით საქართველოს ახალ მთავრობას? გამოკითხულთა 8 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან მოსწონს, 33 პროცენტს - მოსწონს, 40 პროცენტი ნეიტრალურად არის განწყობილი, 11 პროცენტს - არ მოსწონს, 4 პროცენტს - ძალიან არ მოსწონს, 4 პროცენტს პასუხის გაცემა უჭირს, 1 პროცენტი პასუხზე უარს აცხადებს.

კვლევის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გამოკითხულთა 35 პროცენტს მოსწონს. კითხვაზე, რამდენად კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით, 17 პროცენტის პასუხია - ძალიან მომწონს, 31 პროცენტს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, 9 პროცენტი აცხადებს, რომ პრემიერის საქმიანობა არ მოსწონს, 4 პროცენტს კი - ძალიან არ მოსწონს. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 5 პროცენტს.

რესპონდენტებს ხელისუფლების 3 დიდი მიღწევისა და 3 შეცდომის დასახელებაც სთხოვეს. გამოკითხულთა 13,6 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მთავარი მიღწევა არაფერია, 9,1 პროცენტი - სოფლის მეურნეობის რეფორმას, ხოლო 6,4 პროცენტი - დაზღვევას.

რაც შეეხება შეცდომებს, რესპონდენტთა 12,6 პროცენტის აზრით, ხელისუფლებას შეცდომები არ დაუშვია, 8,9 პროცენტი ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად ტყუილ დაპირებებს მიიჩნევს, 8,7 პროცენტი კი - ამნისტიას.

კვლევა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დაკავშირებით საზოგადოების აზრის შესწავლის მიზნით 1-დან 8 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს 11 რეგიონში ჩატარდა. გამოკითხვაში საქართველოს 11 რეგიონის, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა მონაწილეობდა. სულ გამოიკითხა 2 028 სრულწლოვანი რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

როგორც კვლევის ავტორები განმარტავენ, შერჩევის სიდიდე განისაზღვრა მონაცემთა 95-პროცენტიანი სანდოობით, სტატისტიკური ცდომილებით პლუს-მინუს 2,3 პროცენტის ფარგლებში.

ცესკო-ში ნინო ბურჯანაძის განაცხადი შევიდა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განაცხადი შევიდა. როგორც ბურჯანაძის თანაპარტიელმა გია კობახიძემ განაცხადა, ნინო ბურჯანაძე ყველაზე ძლიერი, ღირსეული და რეიტინგული კანდიდატია.

„ჩვენ წარვადგინეთ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" განცხადება. ჩვენი კანდიდატია პარტიის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. დარწმუნებული ვართ, რომ 27 ოქტომბრის არჩევნები მოგვცემს იმ შედეგს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი გახდება ბურჯანაძე," - აღნიშნა გია კობახიძემ და დასძინა, რომ ნინო ბურჯანაძე ქართულ პოლიტიკაში ძირეულ ცვლილებებს შეიტანს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი კუთხით.

ნინო ბურჯანაძე 36-ე პოლიტიკოსია, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ცესკო-ში განცხადება შეიტანა. მანამდე რეგისტრაცია მხოლოდ ორმა კანდიდატმა გაიარა - შალვა ნათელაშვილმა და გელა (მიხეილ) სალუაშვილმა.

28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა

წელს 28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, გამოცდებში 42 ათასამდე აბიტურიენტი მონაწილეობდა, რომელთაგან დაახლოებით 13 700-მა აბიტურიენტმა ბარიერი ვერ გადალახა და ჩაიჭრა. მისივე თქმით, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში წელს ყველაზე მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, კერძოდ, 28 401 აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები, იმ დროს როდესაც წინა წლებში მათი რაოდენობა, დაახლოებით, 24 ათასი იყო. ამასთან, მიმინოშვილის ინფორმაციით, დაახლოებით, 9 ათასამდე სტუდენტმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, აქედან ასპროცენტიანი დაფინანსება, დაახლოებით, 4 500 სტუდენტს ექნება.

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები (ჩარიცხულთა სიები) უკვე გამოქვეყნდა. მუშაობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი - 247 33 33. ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება მოკლე ტექსტური შეტყობინებითაც. ამისთვის აპლიკანტმა მობილური ტელეფონიდან (მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი) საკუთარი საგამოცდო საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე წითლად მითითებული) უნდა გააგზავნოს ნომერზე 93333.

ყარზაი პაკისტანში «თალიბანთან" სამშვიდობო პროცესს განიხილავს

ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი პაკისტანში გაემგზავრა, სადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნავაზ შარიფთან «თალიბანთან" მშვიდობიანი მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობაზე იმსჯელებს. «ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ყარზაი შეეცდება, პაკისტანის პრემიერი «თალიბანის" დაკავებული ლიდერების გათავისუფლებაში დაარწმუნოს, იმ იმედით, რომ აღნიშნული პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებას შეუწყობს ხელს. ყარზაიმ ნავაზ შარიფს თალიბებთან მოლაპარაკებებში შუამავლობა სთხოვა და პაკისტანის პრემიერმაც აღუთქვა, რომ ძალადობის წინაღმდეგ საბრძოველად ყველაფერს გააკეთებს.

ავღანეთს მიაჩნია, რომ პაკისტანში «თალიბანმა" თავშესაფარი «იპოვა" და ეს ქვეყანაში არსებული ძალადობის უმთავრესი წყაროა. როგორც ცნობილია, პაკისტანის დაზვერვას თალიბანის დახმარებაში სდებენ ბრალს. ისლამაბადი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. თალიბანთან პირდაპირი მოლაპარკების დაწყება ადრე ამერიკამაც სცადა, რამაც ავღანეთის პრეზიდენტი გააღიზიანა. ამის შემდეგ ავღანეთმა ამერიკასთან იმ ხელშეკრულების დადება შეაჩერა, რომელსაც 2014 წლის შემდეგ (მას შემდეგ, რაც ქვეყანას კოალიციის ჯარები დატოვებენ) ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცების დარჩენა უნდა განესაზღვრა.

ერაყში აფეთქებებს 46 ადამიანი შეეწირა

ერაყის ქალაქებში ბაღდადსა და ბაქუბაში მომხდარ აფეთქებებს, ქვეყნის პოლიციის ცნობით, 46 ადამიანი ემსხვერპლა. ბოლო პერიოდში ქვეყანაში სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირება მნიშვნელოვნად გამწვავდა. სუნიტები თავიანთი უფლებების უგელებელყოფაში ადანაშაულებენ ქვეყნის შიიტურ მთავრობას, რომელსაც პრემიერი ნური მალიკი ხელმძღვანელობს. მხოლოდ ამ წელს რელიგიურ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებას, ქვეყნის მასშტაბით, 4000 ადამიანი ემსხვერპლა.

«ორი რეჟიმის" სასამართლო პროცესი

კვირას კაიროში ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქისა და «მუსლიმანი ძმების" სამი ლიდერის სასამართლო პროცესი გაიმართა. «მუსლიმანი ძმების" ლიდერებსაც და ყოფილ პრეზიდენტსაც ერთსა და იმავე ბრალდებას უყენებენ - დემონსტრანტების მკვლელობის ხელშეწყობას. ადგილობრივმა მედიამ აღნიშნულს «ორი რეჟიმის სასამართლო პროცესი" უწოდა. პრეზიდენტ მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში დაწყებულ დაპირისპირებას 1000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 100 სამხედრო პირი. თუმცა, «მუსლიმანი ძმების" მხარდამჭერები აცხადებენ, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით დიდია.

ყოფილ პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, რომელიც 2011 წლის გამოსვლების დროს დემონსტრანტების მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ და შემდეგ ეს ბრალდება სააპელაციო სასამართლომ მოუხსნა, წინა კვირას გირაოთი გაათავისუფლეს. პრეზიდენტი ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება. „როიტერის" ინფორმაციით, მისი საქმის მორიგი განხილვა 14 სექტემბრისთვის გადაიდო. ბოლო მომენტში გადაიდო «მუსლიმანი ძმების" პროცესიც. ისინი უსაფრთხოების მიზეზების გამო სასამართლო დარბაზში ვერ მიიყვანეს.

საბერძნეთს, შესაძლოა, დახმარების ახალი პაკეტი დასჭირდეს

საბერძნეთს, შესაძლოა, ფინანსური დახმარების მესამე პაკეტი დასჭირდეს, თუმცა ბიუჯეტის ეკონომიის ახალი ზომების მიღებას ეს ქვეყანა არ დათანხმდება - ეს განცხადება ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა იანის სტურნარასმა გააკეთა. «თუ ახალი დახმარება დაგვჭირდება, ეს 10 მილიარდი ევროს ფარგლებში იქნება," - აღნიშნა მინისტრმა. საბერძნეთმა უკვე მიიღო ფინანსური დახმარების ორი პაკეტი 240 მილიარდი ევროს ოდენობით. საბერძნეთისთვის დახმარების ახალი პაკეტის შესაძლებლობაზე აგვისტოს დასაწყისში გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ვოლფგანგ შოიბლემაც განაცხადა. ივლისში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საკუთარი შეფასება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, საბერძნეთს 2014-2015 წლებში, დაახლოებით, 11 მილიარდი ევროს დახმარება დასჭირდება.

ბერძნული გამოცემისათვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ დახმარების ახალი პაკეტის მოცულობა წინა ორზე გაცილებით ნაკლები იქნება. ამასთან, მინისტრის თქმით, საბერძნეთი, ამ დახმარების მიღების სანაცვლოდ, სახელმწიფო ხარჯების შეკვეცის ახალ მოთხოვნებს აღარ მიიღებს.

სნოუდენი შერემეტიევოს აეროპორტში კუბის უარის გამო ჩარჩა

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ედუარდ სნოუდენი მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მას შემდეგ ჩარჩა, რაც ჰავანამ განუცხადა, რომ რუსეთიდან კუბაში გამგზავრების უფლებას არ მისცემდა. აღნიშნულის შესახებ რუსული გამოცემა «კომერსანტი" იუწყება. სხავდასხვა წყაროებზე დაყრდნობით გაზეთი წერს, რომ ეს გადაწყვეტილება კუბის მაღალჩინოსნებმა ბოლო მომენტში მიიღეს, როდესაც სნოუდენი მოსკოვიდან ჰავანაში უნდა გამგზავრებულიყო. «კომერსანტის" წყაროს ცნობით, კუბამ ეს გადაწყვეტილება ამერიკის ზეწოლის შედეგად მიიღო. სნოუდენს, რომელმაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამოამჟღავნა, აგვისტოს დასაწყისში რუსეთმა დროებითი თავშესაფარი მიანიჭა.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაში გარედან ჩარევა გარდაუვალი ხდება

პირველი გვერდიდან

რუსეთს, ჩინეთს და მათ მცირერიცხოვან მოკავშირეებს ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების არ სჯერათ, დასავლეთი და თითქმის მთელი ცივილიზებული მსოფლიო კი პირიქით - მომხდარში ასადის არმიას ადანაშაულებენ. ევროპის წამყვანი სახელმწიფოების და ამერიკის ხელმძღვანელები უკვე „შესაბამისი ზომების" მიღებაზე ალაპარაკდნენ, თუნდაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე. თუმცა სირიაში ჯარების გაგზავნასა და სახმელეთო ოპერაციაზე ჯერჯერობით საუბარი არ არის.

„24 საათი" წინა კვირაში დაწვრილებით აშუქებდა ამ ქიმიური თავდასხმის გარშემო არსებულ სიტუაციას. ჩვენს მკითხველს ისიც ემახსოვრება, რომ პარასკევს ასადს მოკავშირეებმაც კი, კერძოდ რუსეთმაც მოუწოდა თავდასხმის სავარაუდო ადგილზე გაეროს ინსპექტორების დაშვებისკენ. გაეროს ინსპექტორები ქვეყანაში უკვე 9 დღეა, იმყოფებიან, რათა მარტში და მაისში სხვა ადგილებში მომხდარი შემთხვევები გამოიძიონ. დამასკოს მახლობლად იმ საბედისწერო ადგილას ინსპექტორების დაშვების გადაწყვეტილება სირიის ხელისუფლებამ მხოლოდ კვირა საღამოს მიიღო. თუმცა ეს გადაწყვეტილება უკვე დაგვიანებულად მიიჩნიეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვა სახელმწიფოებმაც. მათი მტკიცებით, სირიის მმართველმა რეჟიმმა გადაწყვეტილების მიღება 5 დღით სპეციალურად გაწელა, რათა ამ ხნის განმავლობაში ქიმიური შეტევის კვალი მაქსიმალურად წაშლილიყო. ამ დღეებში იმ ზონის მასირებული საარტილერიო დაბომბვა მიმდინარეობდა, ეს კი კვალს ნაწილობრივ სპობს. ამას გარდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სულ უფრო ნაკლები მტკიცებულება რჩება. აშშ-სა და ბრიტანეთის აზრით, რადგან დამასკო გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს, მას დასამალი აქვს რაღაც. გუშინწინ გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმაც განაცხადა, რომ მხარეებს ჯგუფის მუშაობისთვის ხელის შეშლის საბაბი არა აქვთ და არც ერთი საათის დაკარგვა არ შეიძლება, ინსპექტორები ტრაგედიის ადგილზე სასწრაფოდ უნდა დაუშვან.

გუშინ მოვლენები კიდევ უფრო დრამატულად განვითარდა. ორივე მხარემ, ასადის არმიამაც და ამბოხებულებმაც, საარტილერიო ცეცხლი შეწყვიტეს და ინსპექტორების ჯგუფი დამასკოს გარეუბნისკენ დაიძრა. თუმცა მათ დაუდგენელმა სნაიპერებმა გაუხსნეს ცეცხლი, პირველ მანქანას რამდენიმე ტყვია მოხვდა და ისინი ქალაქის ცენტრისკენ გამობრუნდნენ, სამთავრობო ჯარების საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან. ჯგუფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ როგორც კი მანქანას შეცვლიან, ტრაგედიის ადგილზე კვლავ გავლენ.

დასავლეთის მკვეთრი პოზიცია იმანაც განაპირობა, რომ მათ ქიმიური მოწამვლით ადამიანთა დაღუპვის შესახებ დამატებითი მტკიცებულებები მიიღეს. კერძოდ, ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე" (მათი შტაბბინა საფრანგეთშია) შაბათს განაცხადა, რომ მათმა საავადმყოფოებმა დახმარება აღმოუჩინეს 3600 პაციენტს, რომლებსაც „ნეიროტოქსიკური სიმპტომები" ჰქონდათ და მათგან 355 ადამიანი გარდაიცვალა. ეს, ფაქტობრივად, ამტკიცებს ამბოხებულთა ცნობას, რომ 1000-ზე მეტი ადამიანია დაღუპული, რადგან ამ ორგანიზაციის საავადმყოფოებში ხომ არ აღმოჩნდებოდა ყველა ავადმყოფი და ადგილზე დაღუპულთა ცხედრებს საავადმყოფოებამდე არც მიიტანდნენ.

დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელები ერთმანეთთან და თვით სირიის მმართველ რეჟიმთანაც ინტენსიურ კონსულტაციებს აწარმოებენ. კერძოდ, თავის სირიელ კოლეგას ვალიდ მუალემს ტელეფონით ესაუბრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. სატელეფონო საუბარი ჰქონდათ ობამასა და ბრიტანეთის პრემიერ კამერონს. პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ პრეზიდენტი ოლანდი და ავსტრალიის პრემიერი კევინ რადი (ავსტრალია სექტემბრიდან გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ხდება). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორან ფაბიუსი კი ისრაელში იმყოფებოდა და კონსულტაციები იქაც ჰქონდა. აშშ-ც, დიდი ბრიტანეთიც, საფრანგეთიც და კიდევ რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო ალაპარაკდნენ სირიის კონფლიქტში ჩარევაზე, თუმცა იქ ჯარების გაგზავნაზე ჯერ არავინ საუბრობს. პრინციპში, ასეთი თავის ტკივილი არავის აძლევს ხელს. აშშ-ს მოსახლეობის 60 პროცენტი ჩარევის წინააღმდეგია, ბრიტანეთში პარლამენტი გაეროს სანქციის გარეშე მოქმედებას, ფაქტობრივად, მხარს არ უჭერს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლოვდება მომენტი, როცა მათ შეიძლება, არჩევანი აღარც ჰქონდეთ. საჭიროა, მსოფლიომ არ დაკარგოს რწმენა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზე რეაგირება შეუძლია. თურქეთმა განაცხადა, რომ სირიის წინააღმდეგ ნებისმიერ კოალიციაში გაერთიანდება, გაეროს სანქციით თუ მის გარეშე.

დასავლეთის ასეთმა განწყობამ, ცხადია, რუსეთი და ჩინეთი აღაშფოთა. ლავროვმა და მისმა ჩინელმა კოლეგამ გუშინ შესაბამისი განცხადებებიც გააკეთეს. მოვლენები ამ დღეებში განვითარდება და ჩვენ მას უყურადღებოდ არ დავტოვებთ.

ბრიტანელი რაბინი: დასავლეთი ზნეობრივ ორიენტირს კარგავს

ლორდმა ჯონათან საქსმა, რომელიც ბრიტანეთის მთავარი რაბინის პოსტს მალე დატოვებს, განაცხადა, რომ თანამედროვე დასავლური საზოგადოება ზნეობრივ ორიენტირებს კარგავს და სულ უფრო სეკულარისტული ხდება.

65 წლის ლორდი საქსი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 22 წელი გაატარა, სექტემბერში გადადგება. მას შეცვლის ეფრაიმ მირვისი, ირლანდიის ყოფილი მთავარი რაბინი.

ლორდმა საქსმა «ბი-ბი-სის «რადიო 4»-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინდივიდუალიზმის გავრცელებამ საზოგადოების ყველა დონეზე ნდობის დაკარგვა გამოიწვია. «როცა იკარგება ნდობა, ჩვენ ვხედავთ, რომ იშლება სოციალური ინსტიტუტები". თავის ინტერვიუში ის განსაკუთრებულად შეეხო 2008 წლის კრიზისს და ქორწინებების რიცხვის შემცირებას.

მისი სიტყვებით, სოციალური ინსტიტუტები, მათ შორის ქორწინება, კრიზისს განიცდის რწმენის დაკარგვისა და საზოგადოების პროგრესირებადი სეკულარიზაციის გამო. რაბინს მიაჩნია, რომ ამაში დამნაშავეა არა სახელმწიფო და მთავრობა, არამედ მთელი საზოგადოება.

ინტერვიუში რაბინმა თქვა, რომ ქორწინების უარყოფა ბავშვთა სიღარიბის პრობლემას აძლიერებს, რადგან ოჯახების გაყოფის გამო, პირველ რიგში, ბავშვები ზარალდებიან. «მიმაჩნია, რომ სიტუაცია, როდესაც ბავშვები იზრდებიან მუდმივ კონტაქტში მშობლებთან, რომლებმაც ისინი სამყაროში მოავლინეს, საზოგადოების საბოლოო სახეზე დიდ ზეგავლენას ახდენს," - თქვა მთავარმა რაბინმა, - „თუ თქვენ დიდი საზოგადოების შექმნისკენ მიისწრაფვით, ყველაზე მეტად ის ვლინდება რელიგიურ საზოგადოებებში, რომლებიც ეკლესიის, მეჩეთის ან სინაგოგის გარშემო არსებობს, რადგან სწორედ იქ ზრუნავენ ადამიანები ერთმანეთზე."

ლორდმა საქსმა ყველა პოლიტიკურ პარტიას რელიგიურ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოების განათლებას - ზოგადად და ადამიანური კავშირების განმტკიცების მნიშვნელობაში - კონკრეტულად. «რწმენა, ყოველ შემთხვევაში, ებრაული რწმენა, ერთმანეთის ნდობას ნიშნავს და ეს ურთიერთნდობა ღვთის რწმენაზეა დამყარებული," - განაცხადა რაბინმა.

ლორდმა საქსმა ბრიტანეთისა და თანამეგობრობის მთავარი რაბინის თანამდებობა 1991 წელს დაიკავა. მთავარი რაბინი ყველა ბრიტანელი ებრაელის არაოფიციალურ წარმომადგენლად მიიჩნევა, თუმცა სინამდვილეში ის წარმოადგენს ორთოდოქსული იუდაიზმის ყველაზე მსხვილ ფრთას ბრიტანეთში, ე.წ. «გაერთიანებულ სინაგოგას". რეალურად, მთავარი რაბინი იუდაიზმის სხვა განშტოებების წარმომადგენელი არ არის. ლორდმა საქსმა ჯერ კიდევ 2010 წელს განაცხადა, რომ «პენსიაში გასვლას" სამი წლის შემდეგ აპირებდა.

თუმცა მას სხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანები არ ეთანხმებიან. «ეროვნული სეკულარული საზოგადოების" წარმომადგენელმა სტივენ ევანსმა განაცხადა, რომ ლორდი საქსი რელიგიას ძალიან გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. «არის საკმარისად ანგარიშგასაწევი მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანების უმრავლესობა რელიგიურ ლიდერებს უკვე აღარ ენდობა და რჩევისთვის მათ არ მიმართავს. რელიგიის ავტორიტეტისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის საშუალებების შემცირების შედეგად ჩვენ უფრო შემწყნარებელი და სამართლიანი საზოგადოება მივიღეთ. ჩვენ შეგვიძლია, რელიგიის გარეშეც ვიყოთ ღირსეული და სამართლიანი ადამიანები," - თქვა ევანსმა.

ლორდმა საქსმა ცოტა ხნის წინ გაზეთ «ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუშიც მოუწოდა მთავრობას, მიიღოს ზომები ქორწინებათა რიცხვის გასაზრდელად და უმუშევარი დედების დასახმარებლად. მისი აზრით, მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ ოჯახის ინსტიტუტი საგადასახადო სისტემამ აღიაროს.

ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ოსბორნმა უკვე დადო პირობა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ოჯახური წყვილებისთვის საგადასახადო შეღავათებს გაითვალისწინებს, მაგრამ მმართველ კოალიციაში კონსერვატორების პარტნიორი «ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია» ასეთი ზომების წინააღმდეგია.

ბი-ბი-სის" მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

სარაევოს კინოფესტივალის გრანპრი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის «გრძელი ნათელი დღეები» ფესტივალის ტრიუმფატორი გახდა. აღნიშნული ფილმი ჩვენს გაქირავებაში 19 სექტემბერს გამოდის და სწორედ მაშინ ვნახავთ, რატომ მოსწონს ეს ფილმი საერთაშორისო პუბლიკას.

«გრძელი ნათელი დღეები» ფესტივალის მთავარ ფილმად 24 აგვისტოს, ფესტივალის დახურვის დღეს გამოაცხადეს. ამავე დღეს გაირკვა, რომ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია საუკეთესო მსახიობებიც არიან და რომ ფილმს არტჰაუსის საერთაშორისო კინოთეატრების გაერთიანება «C.I.C.A.E.-ს პრიზიც არგუნეს. მთავარ ჯილდო «სარაევოს გულთან» ერთად ფილმმა საპრიზო ფონდიდან 16 ათასი ევროც მიიღო.

«რუმინული ახალი ტალღის» ჩანაცვლება - ასე მოიხსენიეს «გრძელი ნათელი დღეების» ფონზე შეფასებული თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი. აღსანიშნავია, რომ სარაევოში ქართული ფილმი წელს

პირველად მონაწილეობდა, რაც ზემოთ ნახსენები ერთი წლის წინანდელი ვიზიტის დამსახურებაა.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის პრემიერა წლევანდელ «ბერლინალეზე» შედგა. მას შემდეგ ფილმმა მეტ-ნაკლებად ვრცელი საფესტივალო გზა გაიარა: ჰონგ კონგის კინოფესტივალზე ასევე გრანპრი და ფიპრესის ჯილდო მოიპოვა, ვისბადენიდანაც გრანპრით დაბრუნდა, ხოლო სლოვაკეთის კინოფესტივალის პრიზები საუკეთესო რეჟისურისა და სამსახიობო შესრულებისთვის მოიპოვა. ლიკა ბაბლუანმა და მარიამ ბოკერიამ ჯილდოები ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალზეც დაიმსახურეს.

«გრძელი ნათელი დღეების საერთაშორისო სახელწოდებაა In Bloom. ფილმი კოპროდუქციაა (ქართულ-გერმანულ-ფრანგული). მისი კოპროდუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები ZDF და ARTE, ხოლო სუბსიდია მიღებული აქვს გერმანიისა და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებისგან და საქართველოს ეროვნული ცენტრისგან, რომელმაც პროექტისთვის 250 ათასი ლარი გამოყო. არაპროფესიონალი ლიკა ბაბლუანისა და მარიამ ბოკერიას გარდა ტიტრებში შემდეგი მსახიობების გვარები იკითხება: თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე და სხვები. რაც შეეხება გადამღებ ჯგუფს, თანარეჟისორობის გარდა ნანა ექვთიმიშვილი სცენარის ავტორის როლსაც ითავსებს, ოპერატორი კი რუმინელი ოლეგ მუტუ გახლავთ, რომლის ფილმოგრაფიაშიც კრისტიან მუნჟუს «4 თვე, 3 კვირა, 2 დღე» და «გორაკებს მიღმა», სერგეი ლოჟნიცას «ნისლში», «ჩემი ბედნიერება» და ალექანდრე მინდაძის «შაბათ დღეს» იკითხება.

და კიდევ ერთი დეტალი: «გრძელი ნათელი დღეების» ასეთი წარმატება ძალიან კარგი ფონია იმისთვის, რაც ფილმს სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ელის. საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა ამერიკის კინოაკადემიისგან უკვე მიიღო მოთხოვნა, რათა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის კანდიდატურა შეარჩიოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს მარტო ორი სერიოზული ნამუშევარი გამოვიდა - «გრძელი ნათელი დღეები» და ზაზა რუსაძის «ჩემი საბნის ნაკეცი», ხოლო ამ ორიდან უფრო მეტი წარმატება სწორედ ექვთიმიშვილი-გროსის ნამუშევარს ხვდა წილად, იოლად სავარაუდოა, რომ კინოცენტრის ჟიური არჩევანს სწორედ ამ უკანასკნელზე შეაჩერებს.

ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ „ᲐᲕᲐᲢᲐᲠᲡ“

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ

თუ imdb.com-ს ვენდობით, 2016, 2017 და 2018 წელს ჯეიმს კამერონმა ეკრანებზე «ავატარის» მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები უნდა გამოუშვას. სავარაუდოდ ასეც იქნება, რადგან სხვადასხვა წყაროები ადასტურებს, რომ მეორე ფილმზე მუშაობა უკვე დაწყებულია, სცენარს კამერონთან ერთად ჯოშ ფრიდმენი წერს, სემ უორტინგტონის, ზოი სალდანასა და სიგურნი უივერის გვარები კი სამსახიობო ანსამბლის ჩამონათვალში წერია. თუმცა «ავატართან» დაკავშირებული სხვა უახლესი ინფორმაციაც არსებობს - ჯეიმს კამერონმა ფილმის მიხედვით ლიტერატურული ნაწარმოების შემქმნელი შეარჩია. წიგნს მწერალი ფანტასტი სტივენ ჩარლზ გულდი დაწერს.

«სტივენ გულდი თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია. მის ნაწარმოებებში არსებული მეტაფორებითა და სახეებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვარ, ამიტომ მას მთელი პასუხისმგებლობით ვანდობ «ავატარის» ლიტერატურული ვერსიის შექმნას», - ამბობს ჯეიმს კამერონი, რომელიც მუშაობის მკაცრი და პრეტენზიული სტილითაა ცნობილი, ამრიგად წლების განმავლობაში შექმნილი სამყაროს ლიტერატურულ განზოგადებას უხეირო ავტორს არ მიანდობდა.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ გულდს «ავატარის» გაფართოებული სამყაროს ირგვლივ ოთხი რომანის შექმნა აქვს დავალებული, თუმცა მათი დასრულებისა და გამოცემის ვადები ცნობილი არაა.

ამჟამად სტივენ გულდი ცხრა რომანის ავტორია, თუმცა ეკრანიზებული მხოლოდ ერთია - 2008 წელს გამოსული «ტელეპორტაცია» (Jumper), დაგ ლიმანის ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ჰეიდენ კრისტენსენი, ჯეიმი ბელი, დაიან ლეინი და სემუელ ელ ჯეკსონი თამაშობენ. ფანტასტიკის მოყვარული მკითხველისთვის კი მისი ნაწარმოებები კარგადაა ცნობილი

როგორც წესი, ფილმებს ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით იღებენ, თუმცა პირიქითაც ხდება - არსებობს ფილმების წიგნის ყდაში მოქცევის პრაქტიკაც. ეს საუკეთესო საშუალებაა, რათა მომხმარებელს ფილმის მეორეხარისხოვანი, თუმცა ძალიან საინტერესო დეტალები მიაწოდონ, ასევე ფილმში ასახული მოვლენებისა თუ გმირების შესახებ უფრო ამომწურავი ინფორმაცია შეიქმნას. ამას გაფართოებული სამყარო ჰქვია. როგორც წესი, ასეთი წიგნები ბლოკბასტერების მიხედვით იქმნება, რაც კომერციული თვალსაზრისით უფრო მოგებიანია. მაგალითად, არსებობს «უცხოს», «მტაცებლისა» და «ტერმინატორის» ლიტერატურული ვერსიების მთელი სერიები, ბავშვებისთვის გამოცემული «იურული პერიოდის პარკის» სამი წიგნი, ასევე «კონან ბარბაროსის», «ჰელუინის», «კარიბის ზღვის მეკობრეების», «მაიმუნების პლანეტისა» და «ძმები ბლუზების» ლიტერატურული ვერსიები. დამოუკიდებელი რომანები იქმნება იმ შემთხვევაშიც, თუ ფილმს უკვე გააჩნია ლიტერატურული მედიუმი. მაგალითად, გამოცემულია წიგნები ჯეიმს ბონდის რამდენიმე ფილმისა და სხვადასხვა კომიქსების გმირების ისტორიების მიხედვით. ამ ჟანრში საუკეთესოდ მიიჩნევა «ვარსკვლავური ომების» ფრენჩაიზის ლიტერატურული ნაწილი. გამოცემულია არა მხოლოდ უკვე არსებული ფილმების ლიტერატურული ვერსიები, არამედ არსებობს გაფართოებული სამყაროს შესახებ უამრავი სხვა რომანი თუ მოთხრობა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ

პოლიტიკასა და სპორტს, აშკარა წინააღმდეგობების მიუხედავად, ბევრი საერთო აქვთ. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკაში ძალზე დაფასებულია თავდაჯერებულობა და გამარჯვებულის მენტალიტეტი, რის გარეშე წარმოუდგენელია გამოჩენილი სპორტსმენი.

მარატ საფინი

თავისი აქტიური გამოსვლების დროს, როდესაც მარატ საფინი უსწორდებოდა ჩოგნებსაც და თავის მეტოქეებსაც, რამაც მას მოუტანა „Grand Slem“-ის ორი ტიტული და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სახელი, ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსს აღმოაჩნდებოდა საკმარისი სიმშვიდე, რომ გამხდარიყო წარმატებული პოლიტიკოსი. მით უფრო, რომ პრესასთან საუბრებში არასდროს ახმოვანებდა თავის ამ მიზანს. საფინმა გადაწყვიტა, რომ პოლიტიკა არის ის სფერო, რომელშიც შეუძლია კარგად იგრძნოს თავი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ. საფინმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის არჩევნებში და გახდა დეპუტატი ნიჟნი ნოვგოროდის ოლქიდან. როგორც მუსლიმანმა, მან გაამრავალფეროვნა მმართველი პარტიის რიგები და, რუსების აზრით, კარგად ასრულებს თავის მოვალეობებს.

ჯონ ალექსანდერი

ალექსანდერმა შვიდჯერ ერთეულთა თანრიგში და თორმეტჯერ წყვილთა თანრიგში მოიგო ATP-ის ტურნირები, მათ შორის, Australian Open-ის წყვილთა ორი ჩემპიონობა. ავსტრალიელმა გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა, რომლის მწვერვალი გახდა მსოფლიო რეიტინგის მერვე ადგილი, რომელიც ეკავა 1975 წელს. 1968 წელს ალექსანდერი იყო ავსტრალიელთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი დევისის თასზე; კარიერის დასრულების შემდეგ, მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ცნობილი იყო, როგორც წარმატებული ტელეკომენტატორი. რამდენიმე შეხვედრაში ჯონი აგრეთვე კაპიტნობდა ნაციონალურ ნაკრებს. როდესაც ალექსანდერმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა ახალი სამხრეთ უელსის პარლამენტში, პოლიტიკოსობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან გაიმარჯვა როგორც ლიბერალური პარტიის წარმომადგენელმა, ხოლო დეპუტატის რანგში მოღვაწეობდა საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ვაჭრობის სფეროებში.

ანა ჩაკვეტაძე

რუსი ჩოგბურთელი მხოლოდ ოცდაექვსი წლისაა და ითვლება მოქმედ მოთამაშედ, თუმცა, ჯანმრთელობის პრობლემებმა საგრძნობლად შეაფერხეს მისი კარიერა. ეს ძალიან დასანანია, რადგან 2007 წელს ანას მყარი ადგილი ეკავა მსოფლიო რეიტინგის ტოპ-ხუთეულში, გამოსვლების პერიოდში WTA-ის რვა ტურნირის მოგების შედეგად. კორტზე ჩაკვეტაძე გამოირჩეოდა ფეთქებადი ხასიათით, რაც არ არის დამახასიათებელი პოლიტიკოსებისთვის. მიუხედავად ამისა, „მართალი საქმის“ პარტიის სახელით მაინც მიიღო მონაწილეობა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის არჩევნებში, თუმცა, ამ პარტიამ არჩევნებზე ხმათა ერთი პროცენტიც ვერ დააგროვა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ანა ისევ დაუბრუნდეს ჩოგბურთს.

პარადორნ სიჩიპანი

ტაილანდის ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელი პარადორნ სიჩიპანი 2003 წელს გახდა მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი, მოიგო ATP-ის 5 ტურნირი, მაგრამ მაჯის ტრავმამ აიძულა დროზე ადრე დაესრულებინა პროფესიული კარიერა. მისი შემდგომი ცხოვრება აღსავსე იყო მრავალფეროვნებით - მოასწრო დაქორწინება და გაყრა „მის მსოფლიოსთან“, გახსნა რესტორანი, ითამაშა ერთ კინოფილმში და დააფუძნა ბიზნესი სამედიცინო სფეროში. შემდეგ დაუოკებელმა პარადორნმა გამოთქვა ტაილანდის პარლამენტში კენჭისყრის სურვილი; თუმცა, სიჩიპანის გატაცება პოლიტიკით დიდხანს არ გაგრძელებულა - ყოფილი ჩოგბურთელი ახლა სერიოზულად აპირებს გოლფში მოსინჯოს ძალა.

ნოვაკ ჯოკოვიჩი

ახლა ნოვაკ ჯოკოვიჩი საჩოგბურთო კარიერითაა დაკავებული და უახლოეს მომავალში მის დასრულებას არ გეგმავს. მაგრამ ოდესმე აუცილებლად დაინტერესდება საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობით. სერბეთში ნოვაკი ეროვნული გმირია და ის ზედმიწევნით უფრთხილდება თავის რეიტინგს თანამემამულეებში. ძნელი წარმოსადგენია სერბეთის პრეზიდენტობის უფრო პოპულარული კანდიდატურა და ასეთი შეთავაზების შემთხვევაში ჯოკოვიჩს ძალიან გაუჭირდება უარის თქმა. თუმცა, პოლიტიკური სარბიელი მოღვაწეობის ყველაზე მშვიდი სფერო არ არის. ასე რომ, პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ ნოვაკმა შეიძლება აირჩიოს უფრო წყნარი საქმიანობა.

როგორც ვთქვით, პოლიტიკასა და სპორტს, აშკარა წინააღმდეგობების მიუხედავად, ბევრი საერთო აქვთ. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკაში ძალზე დაფასებულია თავდაჯერებულობა და გამარჯვებულის მენტალიტეტი, რის გარეშე წარმოუდგენელია გამოჩენილი სპორტსმენი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲐᲒᲑᲘᲡᲨᲘ ᲣᲫᲠᲐᲝᲑᲐᲐ

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ყოველკვირეულ რეიტინგში საქართველოს ნაკრები ურყევად დგას მე-16 ადგილზე. საერთოდ, ცვლილებები არ შეხებია პირველ ორმოცდაათ ნაკრებს, რაც უფრო იმითაა გამოწვეული, რომ ზე ოცეულის გუნდებს შორის უქმეებზე მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა, აქედან ორი ოთხი ერის, უფრო სწორად, რაგბის ჩემპიონატის (The Rugby Championship) ფარგლებში. ახალმა ზელანდიამ დაამარცხა ავსტრალია - 27:16, ხოლო სამხრეთ აფრიკამ - არგენტინა 22:17. მესამე შეხვედრა კი კანადასა და აშშ-ის ნაკრებს შორის გაიმართა. კანადელებმა 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევში ამერიკელები მცირე სხვაობით - 13:11 დაამარცხეს და ინგლისის საგზური გაინაღდეს (!). თუმცა, ნეკერჩხლის ფოთლების გამარჯვება მეზობლებზე რეიტინგზე არ ასახულა.

IRB რეიტინგი 26 აგვისტოსთვის

1	(1). ახალი ზელანდია	91,64
2	(2). სამხრეთ აფრიკა	87,29
3	(3). ინგლისი	85,76
4	(4). ავსტრალია	85,32
5	(5). საფრანგეთი	81,59
6	(6). უელსი	81,36
7	(7). სამოა	80,42
8	(8). ირლანდია	79,58
9	(9). შოტლანდია	76,95
10	(10). არგენტინა	76,41
11	(11). ტონგა	74,77
12	(12). იტალია	74,17
13	(13). ფიჯი	73,56
14	(14). კანადა	72,68
15	(15). იაპონია	71,98
16	**(16). საქართველო**	**67,66**
17	(17). რუმინეთი	66,18
18	(18). აშშ	64,91
19	(19). რუსეთი	61,99
20	(20). ესპანეთი	60,44
21	(21). ურუგვაი	59,87
22	(22). პორტუგალია	58,82
23	(23). ნამიბია	58,70
24	(24). კორეა	58,10
25	(25). ბელგია	57,52
26	(26). ჩილე	56,85
27	(27). გერმანია	55,96
28	(28). პოლონეთი	54,95
29	(29). ჰონკონგი	54,56
30	(30). მოლდოვა	53,77
31	(31). კენია	52,78
32	(32). ზიმბაბვე	52,63

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018610

შემსყიდველი	ცაგერის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	26.08.2013 12:56
წინადადებების მიღება იწყება	12.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.09.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	167892 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	60 კალედარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2000 ლარი
გარანტიის ოდენობა	1679 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018570

შემსყიდველი	აგროსერვის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 20:07
წინადადებების მიღება იწყება	11.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	158226 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი თვის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	650 ლარი
გარანტიის ოდენობა	1582 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018568

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 19:18
წინადადებების მიღება იწყება	11.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.09.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	40000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30213100-პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები)
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	20 ერთეული
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	160 ლარი
გარანტიის ოდენობა	400 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018571

შემსყიდველი	თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 20:24
წინადადებების მიღება იწყება	12.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	226170 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45221110-ხიდების მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია და მისი დანართები
მოწოდების ვადა	არაუგვიანეს 2013 წლის 20 დეკემბრისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2000 ლარი
გარანტიის ოდენობა	2262 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018569

შემსყიდველი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 19:21
წინადადებების მიღება იწყება	05.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	09.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	14800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79500000-ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79530000-მთარგმნელობითი მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხ. ტექნიკური დავალება
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	148 ლარი
გარანტიის ოდენობა	148 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018572

შემსყიდველი	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 20:44
წინადადებების მიღება იწყება	29.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	02.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1900 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	32400000-ქსელები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	32400000-ქსელები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	38 ლარი
გარანტიის ოდენობა	19 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018575

შემსყიდველი	ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 21:47
წინადადებების მიღება იწყება	29.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	02.09.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	9150 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	71200000-არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	71200000-არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	92 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018574

შემსყიდველი	აგროსერვის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.08.2013 20:49
წინადადებების მიღება იწყება	29.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	02.09.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	13400 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45300000-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45300000-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	60 ლარი
გარანტიის ოდენობა	134 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

„დილა" ახლოსაა ევროპის ლიგასთან, „დინამოს„ ბედი კი თბილისშივე გადაწყდა

პირველი გვერდიდან

გორის «დილას» ავსტრიელი მეტოქე ვენის «რაპიდი» კი თბილისურ ფლეი ოფს ნირწამხდარი ეწვევა - ავსტრიული ბუნდესლიგის VI ტურში „გრიოდიგთან» შინაურ კედლებში 0:1 დამარცხდა. ინგლისური და ავსტრიული კლუბებისგან განსხვავებით, «დინამომ» და «დილამ», ფლეი ოფებისთვის უკეთ მოსამზადებლად, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მესამე ტური გამოტოვეს და მეტოქეებს დასვენებული შეხვდებიან. თბილისის «დინამო» ჯერ კიდევ პირველ შეხვედრამდე იყო წასაგებად განწირული «ტოტენჰემთან». თუმცა, «დინამო არენაზე» 5:0 წაგებას მაინც არავინ ელოდა, რამაც ლონდონურ კლუბს თბილისშივე გაუნაღდა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი, ჩვენ კი უკვე მერამდენედ მიგვანიშნეს, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთს ევროთასებამდე ბევრი უკლია.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ისიც, თუ რას უნდა ველოდოთ ლონდონის «ვაით ჰართ ლეინზე». ტოტენჰემელთა პორტუგალიელმა მწვრთნელმა ანდრე ვილაშ-ბოაშმა თბილისური მატჩის შემდგომ თქვა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ საქმე აქვე მოვითავეთ, განმეორებით მატჩშიც გამარჯვებას ვგეგმავ და ამისთვის ისევ უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთო. არც ისე კარგი პერსპექტივაა... წესით და რიგით, თბილისური თამაშის შემდეგ, ახლა უკვე თავად მასპინძელმა «ტოტენჰემმა» საკუთარ მოედანზე, როგორც იტყვიან, უნდა გადაგვირბინოს. ერთადერთი, რამაც ბრიტანელებისგან ასეთი აწიოკებისგან შეიძლება გადაგვარჩინოს, განაღდებული ჯგუფური საგზურია და იქნებ ზედმეტად ოფლი აღარც გამოიდინონ, მაგრამ რა ვუყოთ ვილაშ-ბოაშის სიტყვებს... ეგეც არ იყოს, «ტოტენჰემი» პროფესიონალების გუნდია და ნებისმიერ შემთხვევაში ერთ ადგილზე დგომას იუკადრისებს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონს ისღა დარჩენია, ისევ საქართველოს პირველობაზე გააკეთოს აქცენტი და მომავალი ევროსეზონისთვის შემადგენლობასაც ხელი შეავლოს, რომელიც აშკარად არ გამოირჩევა ოსტატობით.

გორის «დილა»? ის შეიძლება ნათელ წერტილად ჩავთვალოთ. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ გორელებს, თბილისელებისგან განსხვავებით, ფლეი ოფში გაუმართლათ, როდესაც «ტოტენჰემის» მსგავსი გუნდი არ შეხვდათ. ამასთან, ხელს აძლევთ ვენის «რაპიდთან» სტუმრად მინიმალური სხვაობით (0:1) წაგებაც. ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი ანგარიშია, შანსიც რომ გაქვს და «მიხეილ მესხზე» გიორგი დევდარიანის გუნდის წარმატების იმედიც.

ის, რომ ვენელების კლუბმა ბუნდესლიგაში ახლად აღზევებულ „გრიოდიგთან" წაიფორხილა, ბევრს არაფერს ნიშნავს. გორელებს თბილისში სიფრთხილეც მართებთ. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასე ახლოს არიან ჯგუფში მოხვედრასთან.

არც იმის თქმა შეიძლება, რომ «რაპიდის» მწვრთნელმა ზორან ბარიშიჩმა ბიჭებს «გრიოდიგთან» ძალები დააზოგვინა, რადგან «დილასთან» ნათამაშებ შემადგენლობაზე გააკეთა აქცენტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავსტრიელები თბილისშიც იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, როგორც ეს იყო «გრიოდიგთან».

თბილისში დაბრუნებული გიორგი დევდარიანი ამბობდა, «რაპიდთან" მატჩში ბევრი ტექნიკური წუნი გვქონდა. შესაძლოა, ეს ფსიქოლოგიური წნეხით იყო გამოწვეული. სათამაშო დისციპლინის დარღვევა რომ არა, პირველი ტაიმის ბოლოს გოლს არ გავუშვებდით. განმეორებით შეხვედრაში კი პირველ ტაიმში შეტევებს მაინც მოვერიდებით და თუ მერე აუცილებელი გახდა, ვა-ბანკზეც წავალთო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 29 აგვისტოს «დილას» ბედი წყდება. «დინამოზე» კი ბევრი აღარაფერია სათქმელი.

პოლონეთმა და ხორვატიამ საკონტროლო მატჩები დაასრულეს

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე პოლონეთმა და ხორვატიამ მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. პოლონელებმა და ხორვატებმა გუშინ ბოლო საკონტროლო მატჩები გამართეს.

დირკ ბაუერმანის გაწვრთნილი პოლონეთი შინაურ არენაზე შვედეთს შეხვდა და უპრობლემოდ - 73:57 დაამარცხა. პოლონელთაგან საუკეთესო იყო მაცეი ლამპე, რომელმაც ერთბაშად 17 ორქულიანი ესროლა და საბოლოოდ ამდენივე ქულა დააგროვა. მის აქტივში 9 მოხსნაც იყო. ესპანური «ბარსელონას» ახალწვეულს ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

დამაჯერებლად ითამაშა პოლონელთა ლიდერმა მარცინ გორტატმა, რომელმაც 24:30 წუთში ექვსივე ორქულიანი ჩააგდო და გუნდს 12 ქულა შესძინა. პოლონელებმა შვედებს მოხსნებში 36:27 აჯობეს, პასებში - 16:9 და სტუმრებზე ცხრით მეტი საჯარიმო ესროლეს, თუმცა, 19 ტყორცნიდან მხოლოდ 10 გამოიყენეს.

ასე რომ, პოლონელებმა მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. მთლიანობაში სლავებმა 10 მატჩი ჩაატარეს, აქედან 6 მოიგეს და 4 წააგეს. გთავაზობთ ამ მატჩების შედეგებს: ისრაელი - პოლონეთი 81:65, პოლონეთი - საქართველო 87:75, იტალია - პოლონეთი 76:65, ესპანეთი - პოლონეთი 70:66, პოლონეთი - ისრაელი 75:72, ბელგია - პოლონეთი 52:66, პოლონეთი - იტალია 82:79, პოლონეთი - უკრაინა 83:84, პოლონეთი - დიდი ბრიტანეთი 85:66, პოლონეთი - შვედეთი 73:57.

რაც შეეხება ხორვატებს, მათ მოსამზადებელი პერიოდი შედარებით ცუდი შედეგით დაასრულეს. როგორც პოლონელებმა, ხორვატებმაც 10 მატჩი გამართეს, საიდანაც მხოლოდ 4 შეხვედრა (ისიც შედარებით სუსტ გუნდებთან) მოიგეს. მოსამზადებელი ეტაპის ბოლო მატჩი ხორვატებმა ბელგიასთან გამართეს და პირველი ტაიმის შემდეგ 5 ქულით აგებდნენ. მეორე ტაიმში ხორვატებმა თამაში გამოასწორეს და საბოლოოდ 77:55 გაიმარჯვეს.

ეს კი ყველა იმ მატჩის შედეგია, რომელიც ხორვატიამ მოსამზადებელ პერიოდში გამართა: ხორვატია - მაკედონია 74:78, ხორვატია - მაკედონია 72:67, საბერძნეთი - ხორვატია 87:85, საფრანგეთი - ხორვატია 92:60, გერმანია - ხორვატია 73:63, ხორვატია - ჩერნოგორია 72:60, ხორვატია - ლატვია 81:66, სერბეთი - ხორვატია 88:71, თურქეთი - ხორვატია 81:52, ბელგია - ხორვატია 55:77.

ევროპის ჩემპიონატზე, C ჯგუფში, საქართველო პოლონელებს 4 სექტემბერს დაუპირისპირდება, ხოლო ხორვატიას - 5 სექტემბერს.

პოლონეთი - შვედეთი 73:57 (19:13, 24:15, 16:18, 14:11)

პოლონეთი: ლამპე (25 წ. 17 ქ. 9 მ.), პონიტკა (9 წ.), გორტატი (25 წ. 3 მ. 3 პ.), კოშარეკი (26 წ. 5 ქ. 4 მ.), კელატი (25 წ. 5 ქ. 4 პ.); ვიშნიევსკი (1 წ.), ჩილინსკი (14 წ. 6 ქ. 4 მ.), შუბარგა (14 წ. 3 ქ.), ზამოისკი (14 წ. 4 ქ.), იგნერსკი (16 ქ. 9 ქ. 7 მ.), ვაჩინსკი (19 წ. 9 ქ.), ჭრიჩანიუკი (7 წ.), კარნოვსკი (6 წ. 3 ქ. 2 მ.).

ხორვატია - ბელგია 77:55 (18:18, 16:21, 27:6, 16:10)

ხორვატია: რუდეზი (16 წ. 3 ქ.), უკიჩი (26 წ. 11 ქ. 3 პ.), სიმონი (21 წ. 6 ქ.), მარკოტა (25 წ. 5 ქ. 4 მ.), ზორიჩი (25 წ. 13 ქ. 6 მ.); ტომიჩი (15 წ. 2 ქ. 4 მ. 6 პ.), დრეიპერი (17 წ. 2 ქ. 5 პ.), ბოგდანოვიჩი (18 წ. 9 ქ.), ტომასი (22 წ. 10 ქ.).

gbf.ge

ძალოსნობაში საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ორგანიზებით და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, 23-25 აგვისტოს დუშეთის კულტურის სახლში ძალოსნობაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატში საქართველოს შვიდი რეგიონის 65-მა ძალოსანმა მოსინჯა ძალა, მათ შორის, საქართველოს უძლიერესმა ძალოსნებმა. მედლები 24 და 25 აგვისტოს რვა წონით კატეგორიაში გათამაშდა.

19 წლის შოთა მიშველიძემ (69 კგ.), 21 წლის ლაშა ტალახაძემ (+105 კგ.) და დავით გოგიამ საქართველოს რეკორდები დაამყარეს.

ჩემპიონატის გახსნას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები მანუჩარ კვირკველია, რამაზ ნოზაძე, ასევე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბელარუსი ალექსანდრ კურლოვიჩი და ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი თეიმურაზ ტაიმაზოვი.

ტურნირზე პირველივე დღიდან საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდნენ ოლიმპიური ჩემპიონები გიორგი ასანიძე და კახი კახიაშვილი.

ჩემპიონატი ქართველი ძალოსნებისთვის 16-27 ოქტომბერს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილება.

საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში

56 კგ.
1. ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) (90 + 112) 202 კგ.
2. ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) (85 + 105) 190 კგ.
3. გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე) (90 + 100) 180 კგ.

62 კგ.
1. რამილ შამილიშვილი (აჭარა) (111 + 140) 251 კგ.
2. გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) (95 + 118) 213 კგ.
3. ვახტანგ ვეკუა (ზუგდიდი) (98 + 110) 208 კგ.

69 კგ.
1. შოთა მიშველიძე (ქუთაისი) (144 + 170), 314 კგ. (სამივე შედეგი დიდებში საქართველოს რეკორდია)
2. თორნიკე თოდაძე (საჩხერე) (123 + 152) 275 კგ.
3. ვაჟა ქავთარაძე (აჭარა) 120 + 140) 260 კგ.

77 კგ.
1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) (150 + 178) 328 კგ
2. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე) 142 + 171 313 კგ.
3. ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა) (132 + 153) 285) კგ.

85 კგ.
1. ზურაბ თავაძე (ქუთაისი) (147 + 177) 324 კგ.
2. დავით ხარატაშვილი (აფხაზეთი) (143 + 177) 320 კგ.
3. ლაშა კოპალიანი (ქუთაისი) (138 + 177) 315 კგ.

94 კგ.
1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) (163 + 200), 363 კგ.
2. იკა ცანავა (ზუგდიდი) (164 + 190), 354 კგ.
3. დავით ხეცურიანი (ქუთაისი) (140 + 173), 313 კგ.

105 კგ.
1. დავით გოგია (ზუგდიდი) (190 + 225), 415 კგ. (ატაცში საქართველოს რეკორდი)
2. ვილი ალექსიძე (აჭარა) (157 + 195) 352 კგ.
3. უჩა ინაძე (თბილისი) (155 + 185) 340 კგ.

+ 105 კგ.
1. ლაშა ტალახაძე (საჩხერე) (198 + 233), 431 კგ. (აკვრაში საქართველოს რეკორდი)
2. ალბეტრ კუზილოვი (აჭარა) (180 + 220), 400 კგ.
3. გიორგი თურმანიძე (თბილისი) (165 + 197), 362 კგ.

გუნდური ჩათვლა
1. ქუთაისი (198 ქულა)
2. აჭარა (186 ქულა)
3. ზუგდიდი (183 ქულა)


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink